# ხელშეკრულება № 16

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 14 მარტი 2018წ.

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის N 36 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია კვინიკაძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „გიორგი კანდელაკი-ვესტა" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დერექტორის გიორგი კანდელაკის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია, სახელმწიფო ბიუჯეტით, საკანცელარიო ნივთების შესყიდვა. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. (CPV 30100000 ), (CPV 22800000),

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულებ შეადგენს 64.85 (სამოცდაოთხილარიდა85თეთრი)ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 14.05.2018წ-მდე.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

სსიპ # 36 საჯარო სკოლა
ქ. თბილისი, სხულუხიას ქ. # 4
ს.ს . "ლიბერთი ბანკი"
BIC კოდი: LBRT GE22
ა/აGE85LB0121113040839000
ს/კ 202 88 7661
ტელ.: 577 338 266

სკლის დირექტორი

----------------------------

მაია კვინიკაძე

ი.მ. „ გიორგი კანდელაკი"
ქ. თბილისი, აღმაშენებლის # 55/1
სს ,,საქართველოს ბანკი"
BIC კოდი: BAGAGE22
ა/ა:GE75BG0000000888000801
ს/კ: 01009005243
ტელ.: 593 350 385

ინდივიდუალური მეწარმე

----------------------------

გიორგი კანდელაკი

დანართი № 1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტი

| № | საქონლის კოდი | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდბა | .ერთეულის ფასი | საქონლის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 30100000 | დაფის საშლელი 7840 | ცალი | 3 | 0.9 | 2.7 |
| 2 | 30100000 | სტეპლერის ტყვია პატარა | შეკვრა | 5 | 0.22 | 1.1 |
| 3 | 22800000 | მაგიდის კალენდარი ზამბარიანი | ცალი | 3 | 2.5 | 7.5 |
| 4 | 22800000 | სწრაფჩამკერი პლასტიკური 39535 | ცალი | 5 | 0.45 | 2.25 |
| 5 | 30100000 | კალამი ბურთულიანი | ცალი | 3 | 0.3 | 0.9 |
| 6 | 22800000 | ფაილი A4 0.30 (100ც) | შეკვრა | 8 | 2.4 | 19.2 |
| 7 | 30100000 | დაფის მარკერი EU00140 Red, | ცალი | 3 | 0.45 | 1.35 |
| 8 | 30100000 | დაფის მარკერი JP7-882_ | ცალი | 3 | 0.3 | 0.9 |
| 9 | 30100000 | დაფის მარკერი EU00130 Blue, | ცალი | 3 | 0.45 | 1.35 |
| 10 | 30100000 | დაფის მარკერი EU00120 Black, | ცალი | 3 | 0.45 | 1.35 |
| 11 | 30100000 | დაფის მარკერი EU00220 Black, | ცალი | 1 | 0.45 | 0.45 |
| 12 | 22800000 | ბაინდერი A4 ვიწრო 0553 | ცალი | 5 | 2.4 | 12 |
| 13 | 22800000 | ბაინდერი A4 განიერი 0554 | ცალი | 6 | 2.3 | 13.8 |
| | | | | | | 64.85 |

ღირებულება სულ: სამოცდაოთხი ლარი და 85 თეთრი

ი.მ. გიორგი კანდელაკი - ვესტა:

სსიპ № 36 საჯარო სკოლა:

# მიღება-ჩაბარების
# აქტი

ქ. თბილისი

14 მარტი 2018წელი

ერთის მხრივ სსიპ თბილისის №36 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია კვინიკაძის სახით, (შემდგომში შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ი.მ. „გიორგი კანდელაკი-ვესტა" (შემდგომსი „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კანდელაკის სახით, ვადგენთ წინამდებარე აქტს შემდეგზე:

2018 წლის 14 მარტის №16 ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელმა" ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა" ჩაიბარა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკანცელარიო ნივთები, ღირებულებით 64.85 (სამოცდაოთხილარიდა85თეთრი)ლარი.

აქტი სწორია, რასაც ვადასტურებთ მხარეები ხელმოწერით.

ჩააბარა:

ი.მ. „გიორგი კანდელაკი-ვესტა"

დირექტორი:

ჩაიბარა:

სსიპ თბილისის №36 საჯარო სკოლა

დირექტორი:

# ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ქ. თბილისი

13.03. 2018 წ.

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საკანცელარიო ნივთების შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად ი/მ „გიორგი კანდელაკი- ვესტას" მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

საჯარო სკოლის დირექტორი /მ. კვინიკაძე/

მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი: /ქ. გოგილშვილი/

| 1 | სასაქონლო ზედნადები № | ელ- 0364431941 |
|---|---|---|

2 14/03/2018
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3 12:34:30
დრო (საათი, წუთი)

| 4 | ი/მ გიორგი კანდელაკი ვესტა | 1009005243 |
|---|---|---|

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

| 5 | თბილისის 36-ე საჯ.სკოლა | 202887661 |
|---|---|---|

მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

მიწოდების სახე

7 ქ. თბილისი აღმაშენებლის 55/1
ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8 სხულუხიას ქ.4
ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9
ტრანსპორტირების სახე

10
სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

11 სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი

12 გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი — 0.00
თანხა ლარებში

## სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| რიგითი N | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი* |
|---|---|---|---|---|---|---|
| I | II | III | IV | V | VI | VII |
| 1 | დაფის საშლელი 7840 | 7840 | ცალი | 3.00 | 0.900 | 2.700 |
| 2 | სტეპლერის ტყვია პატარა N10 0010 | 6921734900104 | შეკვრა | 5.00 | 0.220 | 1.100 |
| 3 | მაგიდის კალენდარი ზამბარიანი კ6/1 | 808133 | ცალი | 3.00 | 2.500 | 7.500 |
| 4 | სწრაფჩამკერი პლასტიკური 39535 | 39535სწ | ცალი | 5.00 | 0.450 | 2.250 |
| 5 | კალამი ბურთულიანი TENFON B-533D | 533კ | ცალი | 3.00 | 0.300 | 0.900 |
| 6 | ფაილი A4 0.30 (100ც) HL-253-30 | 500209/253 | შეკვრა | 8.00 | 2.400 | 19.200 |
| 7 | დაფის მარკერი EU00140 Red, DELI | EU00140 | ცალი | 3.00 | 0.450 | 1.350 |
| 8 | დაფის მარკერი JP7-882_ | JP7-882 | ცალი | 3.00 | 0.300 | 0.900 |

13 64.85 - სამოცდაოთხი ლარი და 85 თეთრი
მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14 გიორგი კანდელაკი
გამყიდველი (გამგზავნი) – საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15
მყიდველი (მიმღები) – საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16
ხელმოწერა

17
ხელმოწერა

18 მიწოდებული საქონის ჩაბარების
თარიღი(რიცხვი, თვე, წელი) — დრო (საათი, წუთი)

13
შენიშვნა

* დღგ–ს გადამხდელისათვის დღგ–ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ–ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 14/03/2018 12:34:36

0364431941 სასაქონლო ზედნადების დანართი

| რიგითი N | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი* |
|---|---|---|---|---|---|---|
| I | II | III | IV | V | VI | VII |
| 9 | დაფის მარკერი EU00130 Blue, DELI | EU00130 | ცალი | 3.00 | 0.450 | 1.350 |
| 10 | დაფის მარკერი EU00120 Black, DELI | EU00120 | ცალი | 3.00 | 0.450 | 1.350 |
| 11 | დაფის მარკერი EU00220 Black, DELI | EU00220 | ცალი | 1.00 | 0.450 | 0.450 |
| 12 | ბაინდერი A4 ვიწრო 0553 | 0553ბ | ცალი | 5.00 | 2.400 | 12.000 |
| 13 | ბაინდერი A4 განიერი 0554 | 0554ბ | ცალი | 6.00 | 2.300 | 13.800 |
| | | | | | | |

13 | 64.85 - სამოცდაოთხი ლარი და 85 თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14 | გიორგი კანდელაკი

გამყიდველი (გამგზავნი) – საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15 |

მყიდველი (მიმღები) – საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16 |

ხელმოწერა

17 |

ხელმოწერა

18 | მიწოდებული საქონის ჩაბარების | |

თარიღი(რიცხვი, თვე, წელი) დრო (საათი, წუთი)

13 |

შენიშვნა

* დღგ–ს გადამხდელისათვის დღგ–ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ–ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 14/03/2018 12:34:36